


# გიორგი ჩაკვეტაძის 1 წლის საქმიანობის ანგარიში

ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის, სპორტისა
და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარის,
გიორგი ჩაკვეტაძის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი
[01.11.2018 – 31.10.2019]

# სარჩევი


პრეამბულა ..... 2

საკრებულოს სხდომებში  მონაწილეობა ..... 2

ტრანსპორტი ..... 3

საქალაქო და რაიონული ინფრასტრუქტურა ..... 4

ეკოლოგია ..... 5

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები ..... 5

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ..... 6

კომისიური მუშაობა ..... 6

ფრაქციული მუშაობა ..... 7

სპორტი და ახალგაზრდობა ..... 7

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა ..... 7

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის  ინიციატივები ..... 9

სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში ჩართულობა ..... 15

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ..... 21

სპორტული ღონისძიებები ..... 22

ახალგაზრდული ღონისძიებები ..... 24

რაიონული გამგეობები ..... 26

მივლინებები/ ოფიციალური ვიზიტები ..... 28

განხილული კორესპონდენცია ..... 28

მოქალაქეთა მიღება ..... 29

დამატებითი ინფორმაცია ..... 29

საზოგადოებასთან ურთიერთობა ..... 29

## პრეამბულა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ის 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე’’ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N26-113 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, საკრებულოს წევრის ვალდებულებაა ამომრჩევლების წინაშე წელიწადში ერთხელ 1-ლ ნოემბრამდე წარადგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

*დოკუმენტი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის (შემდეგში კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ჩაკვეტაძის მიერ 2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.*

## საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში *(01.11.2018- 31.10.2019)* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროს 19 და საკრებულოს 18 სხდომა გაიმართა. შედეგად გიორგი ჩაკვეტაძის თანამონაწილეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია 532 გადაწყვეტილება. მათ შორის, 98 დადგენილება და 434 განკარგულება.
გიორგი ჩაკვეტაძე *(2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)* დაესწრო ბიუროს 19 და საკრებულოს 17 სხდომას.

***საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები:***

2018 წლის 25 დეკემბერს *(ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N34-115)* თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა. დედაქალაქის მთავარი საფინანსო დოკუმენტი 927, 6 მლნ ლარით განისაზღვრა. თუმცა, 2019 წლის იანვრის ცვლილებების თანახმად, თბილისის 2019 წლის ბიუჯეტმა მილიარდ ლარს გადააჭარბა, ასევე ცვლილებები განხორციელდა მარტის, მაისის და ივლისს თვეში და საბოლოოდ ბიუჯეტი განისაზღვრა 1 075 270, 8 ათასი ლარით.

***2019 წლის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:***

- ტრანსპორტი;
- საქალაქო და რაიონული ინფრასტრუქტურა;
- ეკოლოგია;
- ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები;
- ცხოვრების ჯანსაღი წესი.

## ტრანსპორტი

ტრანსპორტის სფეროს შესწავლის მიზნით ფრანგულმა კომპანიამ ,,სისტრა“ კვლევა ჩაატარა. ეწყობა სატრანზიტო დერეფნები და ზოლები ავტობუსებისთვის;

- ამოქმედდა პარკინგის მომსახურების სერვის ცენტრი. გამოიცვალა პარკინგის 9000 ნიშანი. კეთილმოეწყო 8000 კვ.მ. პარკირების ადგილი.
  ეტაპობრივად ინერგება ,,ზონალური პარკინგის'' სისტემა, რომელიც კოტე აფხაზის ქუჩასა და ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე ამოქმედდა;
- დედაქალაქის მთავრობას შეძენილი ჰყავს დიზელზე მომუშავე 10-მეტრიანი MAN-ის 90 ახალი ავტობუსი. შესყიდულია დიზელზე მომუშავე, 8-მეტრიანი, 220 ერთეული ავტობუსი, რომელთაგან 60 ერთეული უკვე მოძრაობს შესაბამის მარშრუტებზე. მზადდება ტენდერი 240 CNG და ელექტრო ძრავაზე მომუშავე 8 და 10-მეტრიანი ავტობუსების შესასყიდად.
  2020 წლიდან დამატებით 200 ერთეული 18-მეტრიანი ელექტრო ავტობუსი შემოვა და მათთვის სპეციალური სწრაფი გადაადგილების დერეფნები გამოიყოფა.
  მთლიანობაში, ავტობუსების პროგრამის ფარგლებში, დედაქალაქში 750 ავტობუსი შემოვა, რაც ეტაპობრივად მიკრო ავტობუსებს ჩაანაცვლებს;
- მიმდინარეობს მეტრო სადგურების რეაბილიტაცია, ჯამში განახლდება 22 მეტრო სადგური. მეტროპოლიტენს დაემატა 4 ახალი შემადგენლობა, რამაც მოცდის დრო შეამცირა. დაგეგმილია კიდე 4 შემადგენლობის დამატება. 2018-2021 წლებში თბილისის მეტროპოლიტენს ჯამში 12 ახალი, თანამედროვე სტანდარტების შემადგენლობა დაემატება; განხორციელდება მეტრო გოცირიძის რეკონსტრუქცია სადგური სრულად განახლდება, რასაც 2,4 მლნ. ლარი მოხმარდება.
  იწყება მიწისზედა მეტროს განვითარება. თბილისს დაემატება 7 ახალი მეტროსადგური. დამოუკიდებელი მიწისზედა მეტროს ხაზი, სამგორის მეტროსადგურიდან აეროპორტის ჩათვლით, ლილოს ბაზრობამდე 8 ახალ სადგურს დააკავშირებს. ხორციელდება თბილისის მეტროს რუსთავთან დაკავშირების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და შეირჩევა ოპტიმალური მარშრუტი, რითაც 260 000 ადამიანი ისარგებლებს;
- დაიწყო და მიმდინარეობს ,,ტაქსების'' რეფორმა, რაც სერვისს ევროპულ სტანდარტებს აახლოებს. ტაქსებისთვის, უფასოდ გამოიყო სპეციალური საპარკინგე ადგილები, ნებართვის მფლობელი ტაქსის მძღოლები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, მძღოლებს უფასოდ გადაეცათ ტაქსის მანათობელი ნიშნები და ქიმწმენდისა და ღებვის ვაუჩერები;
- მიმდინარეობს მდინარე მტკვრის ტურისტული განვითარების კვლევა, რომელშიც თბილისის მერიას აზიის განვითარების ბანკი (ADB) ეხმარება;
- მიმდინარეობს ელექტრო ველოსიპედებისა და სკუტერების გაქირავების სერვისის სისტემური მოწესრიგება.

- საკანონმდებლო რეგულაციების მიღების შემდეგ ეკო ტრანსპორტისთვის სპეციალური ინფრასტრუქტურა და საპარკინგე ადგილები განთავსდება;

- თბილისის სხვადასხვა ქუჩაზე, სკვერსა და პარკში თანამედროვე, ევროპული ტიპის ველო ბილიკები რეგულარულად ეწყობა: კოსტავას, შარტავასა და პეკინის ქუჩები, ,,წითელი ბაღი'', ბავშვთა ქალაქი ,,მზიური'', ბოტანიკური ბაღი, ,,კიკვიძის'' პარკი, ჭავჭავაძის გამზირი, უნივერსიტეტის ქუჩა (მაღლივ კორპუსთან), გლდანის პარკი (მე-6 მ/რ) და სხვა.

## საქალაქო და რაიონული ინფრასტრუქტურა

გზების აღდგენა-რეაბილიტაცია დასრულდა ათობით ლოკაციაზე.

- მიმდინარეობს ჭავჭავაძის გამზირის, კახეთის გზატკეცილის სრული რეაბილიტაცია, მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი გზის, დავითაიას ქუჩისა და მთისძირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობის სამუშაოები;

- შენდება თბილისის ზღვიდან ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში ჩასასვლელი, სამების ეკლესიის და მახათას ეკლესიის დამაკავშირებელი გზა. უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა;

- დასრულდა კანდელაკის ქუჩის, ჩიქოვანის ქუჩის, კოსტავა-შარტავას და მიმდებარე ქუჩების, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის რეაბილიტაცია და ვაშლიჯვრის ესტაკადის მშენებლობა;

- აქტიურად მიმდინარეობს თბილისის ავარიული და ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია; რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ორბელიანის მოედანს, მიმდებარე ქუჩებსა და 20-მდე შენობას. მიმდინარეობს გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე შენობების, მშრალი ხიდისა და კოტე აფხაზის (ლესელიძის) ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- დასრულდა გოძიაშვილის, გლდანის მე-6 მიკრორაიონში მდებარე პარკის და მრგვალი ბაღის კეთილმოწყობის სამუშაოები; მიმდინარეობს ,,კიკვიძის'' პარკის რეაბილიტაცია; იგეგმება დიღმის ჭალებში 15 ჰექტარზე პარკის მშენებლობა და თემქის ხევის ტერიტორიაზე ახალი საქალაქო პარკის განაშენიანება;

- დედაქალაქს ასევე, განახლებული მზიურის სახით კეთილმოწყობილი, მრავალფუნქციური რეკრეაციული ზონა შეემატება. პარკში სხვადასხვა ტიპის სპორტული, კულტურული და რეკრეაციული სივრცეები განთავსდება, მათ შორის

„თოჯინების მუზეუმი''. სარეაბილიტაციო არეალი 13 ჰექტარს მოიცავს, რომელიც 2019 წელს დაიწყება და 2020 წელს დასრულდება.

## ეკოლოგია

- შეიქმნა „ეკოსერვის ჯგუფი“ - თბილისის მებაღე;
- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა პარკებს და სკვერებს 251 მისამართზე, რისთვისაც დაიხარჯა 12 მლნ. ლარამდე;
- აღებულია 224 ავტოფარეხი, სადაც სკვერები და სპორტული მოედნები ეწყობა;
- ახალი მშენებლობებისთვის სავალდებულო გახდა შესაბამისი პარამეტრების მწვანე სივრცის მოწყობა;
- შემუშავდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო სტრატეგია;
- მსუბუქი ავტომობილების მოხმარების შემცირება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ხარჯზე ხდება;
- მუშავდება მტკვრის განვითარების კონცეფცია;
- მიმდინარეობს თბილისის შემოგარენის ტყეების ინვენტარიზაცია და დაავადებული ტყეების განახლება.

## ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები

- ოჯახებს ფართები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცემათ - დაკმაყოფილებულია 400-ზე მეტი ოჯახი;
- ,,სვეტი“-ის დაზარალებულთათვის ,,m2” - მა სამი შეჩერებული პროექტი გადაიბარა, 2500 ოჯახი კუთვნილ ბინას მიიღებს;
- **2015 წელს ივნისის დაზარალებულებისათვის გადახდილია კომპენსაციები;**
- თბილისის 10 რაიონში სოციალური პროგრამებით ისარგებლა 170 000-მდე ბენეფიციარმა, დაიხარჯა 35 მლნ. ლარამდე;
- გაფართოვდა „დაავადებათა სკრინინგის'' პროგრამა და დაემატა 3 ახალი მაღალტექნოლოგიური მამოგრაფი;
- ტრანსპლანტაციის პროგრამას დაემატა ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტი, რომელიც 2018 წელს 60 000 ლარით დაფინანსდა, ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან 7 300,0 ლარი იხარჯება.
- დაინერგა და გრძელდება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა'', რაც 2018 წელს 3 750 000 ლარით დაფინანსდა მიმდინარე წელს 4 025,0 ლარით ფინანსდება.

## მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

- 15 მარტს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დამტკიცდა, რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიების ბალანსირებულ და რეკონსტრუქციაზე ორიენტირებულ განვითარებას. გენგეგმის თანახმად ასევე, პრიორიტეტულია ქალაქის ცენტრალური ნაწილის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათისა და თავისებურებების შენარჩუნება და აღდგენა, მისი კულტურული, საზოგადოებრივი და წარმომადგენლობითი ფუნქციის განვითარება. კიდევ ერთი სიახლე, რომელიც დოკუმენტში აისახა, სატყეო ზონისა და სამი ტიპის რეკრეაციული ზონის შემოღებას ეხება. ამასთანავე, ახალი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, იკრძალება კ2 კოეფიციენტის გადაჭარბების გაზრდაც.
  თბილისის განვითარების გენერალური გეგმის პროექტზე „სითი ინსტიტუტი'' 2015 წლიდან მუშაობდა. დოკუმენტის შესაქმნელად დედაქალაქის ბიუჯეტიდან 2 800 000 ლარი მოხმარდა;
- თბილისში მშენებლობებზე კოეფიციენტების მატება და კ2 კოეფიციენტის გაყიდვა სრულად აიკრძალება, ახალი რეგულაცია მშენებლობის ნებართვებსა და განაშენიანების რეგულირების გეგმებზე (გრგ) გავრცელდება;
- თბილისი 100 მედეგი ქალაქის ქსელს 2016 წელს შეუერთდა, მიმდინარეობს თბილისის მედეგობის სტრატეგიაზე მუშაობა, რომლის განხორციელებაც მომავალი წლიდან დაიწყება;
- შემუშავდა „რადიოქალაქის'' ახალი პროექტი, რაც მუხიანის დასახლებაში აშენდება. პროექტის ღირებულება 50 მილიონი ლარია. შეიქმნება 200 სამუშაო ადგილი;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, ,,კიკვიძის პარკში'' ამოქმედდა ბიზნეს აქსელერატორი;
- აქტიურად ხორციელდება ,,ღამის ეკონომიკის'' პროექტი;
- აშენდა და გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების და შშმ პირთათვის ადაპტირებული 11 საბავშვო ბაგა-ბაღი; 61000-ზე მეტი ოჯახი ბაგა-ბაღების მუნიციპალური სერვისით სარგებლობს;

## კომისიური მუშაობა

***იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია***

კომისიას ჩატარებული აქვს 17 სხდომა. განხილულია განკარგულების და დადგენილების 435 პროექტი.

გიორგი ჩაკვეტაძე *(2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)* დაესწრო 17 სხდომას და მონაწილეობა მიიღო 435 განკარგულებისა და დადგენილების პროექტის განხილვაში.

## ფრაქციული მუშაობა

***ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"***

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ჩატარებული აქვს 21 სხდომა, განხილულია 24 საკითხი, მათ შორის:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;
- მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენგეგმის პროექტი;
- ქ.თბილისის მასშტაბით მუნიციპალური ქონების მართვის მიმართულებით არსებული პრობლემების განხილვა;
- ქ. თბილისის ბაგა-ბაღების სურსათით მომარაგების საკითხი და ა.შ

გიორგი ჩაკვეტაძე *(2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)* დაესწრო 19 სხდომას.

## სპორტი და ახალგაზრდობა

## სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა

- დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტიური პროპაგანდა, სხვადასხვა სპორტული პროგრამების შემუშავება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგი;
- მიმდინარე სპორტული ობიექტების მშენებლობისა და არსებულის მონიტორინგი;
- სამინისტროებთან, კომიტეტებთან, მუნიციპალიტეტებთან, გამგეობებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ფედერაციებთან და სხვა ორგანიზაციებთან რეგულარული კომუნიკაცია და დარგობრივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- დედაქალაქის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან შეხვედრები მათ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების დადგენისა და ინიციატივების მოსმენა;
- სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- კომისიის სხდომების ორგანიზება, დასკვნების და ოქმების მომზადება;
- გამგეობებისა და საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა;
- დარგობრივი ტენდერების მონიტორინგი;
- კომისიაში შემოსულ კორესპოდენციაზე შესაბამისი რეაგირება;
- მოქალაქეების მიღება;
- კომისიის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა:
- დელეგაციის წევრობა და პროექტებში მონაწილეობა;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული და ახალგაზრდულ ა(ა)იპ-ებში ვიზიტი და მათი საქმიანობის რეგულარული გაცნობა;
- საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება;
- სხვადასხვა კალენდარული ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა და მათში მონაწილეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი:
- დონორების მოზიდვა, დელეგატთა მორიგი ფორუმის და რეგიონული შეხვედრის ორგანიზება;
- წარმატებული სპორტსმენების წახალისება;
- მსოფლიო შეჯიბრებებსა და ოლიმპიადებზე ქართველი სპორტსმენების გაცილება საკრებულოს წევრების მიერ;
- სტაჟირებასა და დასაქმებაში ახალგაზრდების ხელშეწყობა;
- საზღვარგარეთის ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობების დამყარება და დაძმობილებულ, პარტნიორ ქალაქებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;

საანგარიშო პერიოდში, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 16 (თექვსმეტი) სხდომა ჩატარდა და 27 (ოცდაშვიდი) საკითხი მომზადდა. მათ შორის, განხილულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების და განკარგულებების პროექტები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების ანგარიშები, სპორტისა და ახალგაზრდულ თემატიკასთან დაკავშირებული პროგრამა/პროექტები და განცხადებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა, მიმდინარე საკითხები - არსებული პროექტების პრეზენტაცია და სხვა. კომისიის რეკომენდაციით და საკრებულოს გადაწყვეტილებით, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თბილისის გლდანის, ვარკეთილის და ვაკის რაიონში სიმბოლურ ფასად ტერიტორიები გადაეცა საერთაშორისო, თანამედროვე სტანდარტების სტადიონებს მშენებლობის მიზნით, რომლითაც ადგილობრივი კლუბები ისარგებლებენ, ასევე თბილისის ზღვის მიმდებარედ ტერიტორია გადაეცა ქვიშის ფეხბურთის ფედერაციას, სადაც განხორციელდება მოედნის აღდგენა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვიშის სახეობების პოპულარიზაციას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადებულია 15 (თხუთმეტი) სამართლებრივი დასკვნა და 16 (თექვსმეტი) კომისიის სხდომის ოქმი.

კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს.

## სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივები

***ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:***

2018 წელს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაფუძნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი, რომლის მიზანი იყო მუნიციპალიტეტების საკრებულოების ახალგაზრდა წევრთა ერთიან ფორმატში რეგულარული შეხვედრის გზით, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება. ფორუმი ყოველწლიურად ტარდება, თუმცა გარდა ამისა ფორუმის ეგიდით ტარდება სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის:

***კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს"***

მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქების ცენტრალურ სკოლებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს" პერმანენტულად ტარდებოდა. კამპანიის ფარგლებში ჩატარდა 7 შეხვედრა 146-ე, 208-ე, 107-ე, 143-ე, 115-ე, მე-60 და მე-9 საჯარო სკოლებში. კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, დეპუტატები და სხვადასხვა წარმატებული სპორტსმენები საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ და ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტისაგან მიღებულ სარგებელზე ესაუბრნენ.

კამპანიის მიზანია სხვადასხვა აქტივობების განხორციელების გზით, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

გარდა ამისა, კამპანიის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ და გლდანის რაიონის მაჟორიტარმა წევრმა ქეთევან ჯოხაძემ, 175-ე საჯარო სკოლის პედაგოგი და რაგბში პირველი ქალი მსაჯი ნინო ელოშვილი, სპორტში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მადლობის სიგელითა და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოეს.

***მუნიციპალური სპორტული ბაზა***

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, დედაქალაქში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და სპორტული აქტივობების კონსოლიდაციის

მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებს შორის (საკრებულო, მერია, გამგეობები, ა(ა)იპ-ები, სსიპ-ები), სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ბოულინგი, ბილიარდი, ფრენბურთი, ეარსოფტი, კარტინგი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ნარდი, კიბერ სპორტი, ექსტრემალური სპორტი, სამაგიდო თამაშები, სხვა) სპორტის მოყვარულთა მუნიციპალური საერთო ბაზა შეიქმნა. სოციალურ ქსელში თემატური ელექტრონული ჯგუფი შეიქმნა, სადაც ქვეყნდება ყველა სიახლე.
აღნიშნულის ფარგლებში გაიმართა უწყებათაშორისი ტურნირი ,,მინი-ფეხბურთის მოყვარულთა ლიგა", რომელშიც 8 (რვა) უწყების გუნდი იღებდა მონაწილეობას. მსგავსი ტურნირების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში კვლავ იგეგმება.

*კამპანია ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში''*

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, თბილისის საკ
რებულოში, კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'' ფარგლებში
2019 წლის მინსკის მეორე ,,ევროპული თამაშების'' მედალოსანი სპორტსმენების და მათი მთა
ვარი მწვრთნელების მიღება გაიმართა.

საქართველოს დელეგაციამ 2019 წლის მინსკის ,,ევროპულ თამაშებში“ ისტორიული შედეგი
დააფიქსირა და ჯამში 30 მედალი მოიპოვა, მათ შორის 6 ოქრო,
10 ვერცხლი და 14 ბრინჯაო. აღნიშნული შედეგით საქართველომ, არაოფიციალურ ჩათვლაშ
ი, 50 ქვეყნის 4082 სპორტსმენს შორის, მეშვიდე ადგილი დაიკავა.

კამპანიის ფარგლებში, კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს თავმჯდომარესთან და
დეპუტატებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონს ნიჩბოსნობაში, ზაზა ნადირაძეს და მკლავჭიდში
მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონს ლევან საგინაშვილს უმასპინძლეს.

*ტურნირი ,,თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა 2019'':*

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, თბილისის მერიისა და
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით და ა(ა)იპ-ის „სპორტის მართვის
მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის“ ორგანიზებით, ,,თბილისის მინი
ფეხბურთის სასკოლო ლიგა'' ჩატარდა. ტურნირი წელს პირველად გაიმართა, რომელშიც 32
(ოცდათორმეტი) საჯარო სკოლის, 400-მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას და თბილისის
სამი რაიონის ტერიტორია მოიცვა.

მსგავსი ტურნირი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ელექტრონული პორტალის
შექმნითა და ჯგუფური სისტემის გამოყენებით პირველად გაიმართა და მიზნად ისახავდა
ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას

### *საქველმოქმედო აქცია*

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით და ორგანიზებით წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

აქციის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე პენიტენციურ დაწესებულებას საკრებულოს დეპუტატებთან, აპარატის თანამშრომლებთან და სპორტსმენებთან ერთად ესტუმრა.

გიორგი ჩაკვეტაძემ და საკრებულოს წევრებმა არასრულწლოვნებთან ერთად სპორტის სხვადასხვა სახეობებში, კერძოდ, ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში გამართულ მეგობრულ მატჩებში მიიღეს მონაწილეობა.

შეხვედრაზე სტუმრებმა წარმატებულ სპორტსმენებთან ერთად ჯანსაღი ცხოვრების წესსა და რესოციალიზაციის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ხოლო ახალგაზრდებისგან კი მათი სამომავლო გეგმებისა და საჭიროებების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

ღონისძიების მიზანი დაწესებულების ბენეფიციარი ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით, მათი წახალისება, მოტივაციის ამაღლება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია იყო.

საქველმოქმედო აქციები კომისიის ინიციატივით რეგულარულად იმართება.

### *სამუშაო შეხვედრები*

#### *სამუშაო შეხვედრა საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან*

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით თემატური სამუშაო შეხვედრები პერიოდულად იმართება. მაჟორიტარ წევრებს შეხვედრაზე კომისიის თავმჯდომარემ 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტები წარუდგინა. საკრებულოს წევრებმა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას თავიანთ სამაჟორიტარო ოლქებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების შესახებ წინადადებები მიაწოდეს. აღნიშნული რეკომენდაციები თბილისის მერიას, გამგეობებსა და სამინისტროებს გადაეგზავნათ.

მსგავსი ფორმატის შეხვედრების მიზანი საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ინიციატივების აღრიცხვა და სხვადასხვა უწყებასთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაა.

#### *სამუშაო შეხვედრა თბილისის რაიონულ გამგეობებთან*

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით სამუშაო შეხვედრები *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების* წარმომადგენლებთან პერიოდულად იმართება.

საანგარიშო პერიოდში კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატებთან ერთად გამგეობების 2018 წლის III-IV კვარტლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ანგარიშები და 2019 წლის სამოქმედო გეგმა მოისმინა.

ამ ფორმატით გამგეობების წარმომადგენლებთან შეხვედრა ყოველ 6 თვეში ერთხელ იმართება და გარდა ანგარიშის მოსმენისა, შეხვედრაზე სამომავლო პროექტებსა და თანამშრომლობის ფორმებზეც მსჯელობენ.

### *სამუშაო შეხვედრა სპორტულ ფედერაციებთან და ა(ა)იპ-ებთან*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, სპორტულ ფედერაციებსა და ქალაქ თბილისის ა(ა)იპ-ებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სპორტული ფედერაციებისა და მუნიციპალური ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებს კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ უმასპინძლა.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მოწვეულ სტუმრებს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის ბიუჯეტით განხორციელებული და მიმდინარე პროექტები წარუდგინა და მომავალი პრიორიტეტები გააცნო.

კომისიის ინიციატივით თემატური სამუშაო შეხვედრები პერიოდულად იმართება, რომლის მიზანი დედაქალაქში სპორტული მიმართულებით არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა, ასევე სპორტის განვითარების პროგრამების, მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება და მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოსა და ფედერაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაა.

შეხვედრას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს პარლამენტის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

### *სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის შემუშავების თაობაზე*

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივაა დედაქალაქის ტერიტორიაზე (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში) არსებული სპორტული მოედნების თანამედროვე

სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; ასევე, ახალი სპორტული მოედნების სამშენებლო სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა/მშენებლობა  და მათი მოვლა-პატრონობა.

ინიციატივის განსახორციელებლად სპორტისა და ახალგაზრდული კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით სამუშაო ჯგუფი შეიქნა, საკრებულოს, მერიისა და ფედერაციის წარმომადგენლების შემადგენლობით, შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა შესაბამისი დადგენილების პროექტის  შემუშავებაზე.

ინიციატივის ფარგლებში,  მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა დონორ ორგანიზაციებთან, RIA - რეგულირების გავლენის შეფასების დაფინანსების საკითხზე.

შეხვედრაზე არსებულ მდგომარეობას გაეცნენ და  თემატური კვლევის დაფინანსების გზების მოძიების მეთოდები განიხილეს. ორგანიზაციებმა გამოთქვეს მზაობა კონსულტაციები გაუწიონ კომისიას რეგულირების გავლენის შეფასების მომზადებას. შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარლამენტის წარმომადგენლები.

***სამუშაო შეხვედრა საჯარო სკოლების სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების თაობაზე***

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის და ინფრასტრუქტურის განვითარების  ხელშეწყობა, საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ინიციატივით  არსებული საჯარო სკოლების სპორტული მოედნების რეაბილიტაციის საკითხზე, საკრებულოში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი საჯარო სკოლების ტერიტორიაზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და გაუმჯობესების ერთობლივი მექანიზმის შემუშავება იყო.

შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შედგა და სამინისტროს, საკრებულოს, მერიის  წარმომადგენლები, ისნის რაიონის გამგებელი და ამავე რაიონის მაჟორიტარი წევრი ესწრებოდნენ.

***(IUSY) პრეზიდიუმის და შავი ზღვის კომიტეტის (BSAC) ვიზიტი საკრებულოში***

კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჩაკვეტაძის ინიციატივით საკრებულოს თავმჯდომარესთან და დეპუტატებთან  სამუშაო შეხვედრა გაიმართა ,,ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო გაერთიანების'' (IUSY) პრეზიდიუმის და შავი ზღვის კომიტეტის (BSAC) დელეგაციასთან. შეხვედრაზე ისაუბრეს ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხზე, თბილისში მიმდინარე სამიტის დღის წესრიგსა და სამომავლო თანამშრომლობის გზებზე.

***სამუშაო შეხვედრა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების აუზით სარგებლობის თაობაზე***

კომისია აქტიურად განაგრძობს დედაქალაქის ბიუჯეტის მონიტორინგს და სხვადასხვა შეხვედრებს მართავს პროგრამების განხორციელების თაობაზე.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა ,,უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებზე სწავლის დაფინანსების წესთან დაკავშირებით. შეხვედრის მიზანი პროგრამით მოსარგებლე პირების ჩართვასა და პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობაზე დეტალური ინფორმაციის მიღება იყო.

შეხვედრას კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, საკრებულოს წევრი ნინო ლაცაბიძე, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიისა და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

***მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონიტორინგი***

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში ამ ეტაპზე 9 სპორტული და 2 ახალგაზრდული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რომელთა საქმიანობის გაცნობას და მონიტორინგს კომისია წლის განმავლობაში პერიოდულად ახორციელებს.

საანგარიშო პერიოდში ავჭალაში, მონასტრის, ბაღნარის და ლიბანის ქუჩებზე, მიმდინარე სპორტული მოედნების მშენებლობის პროცესის მონიტორინგი განხორციელდა. ასევე, კომისიის წევრები, საანგარიშო პერიოდში დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვრის ქუჩაზე სპორტული კომპლექსის სამშენებლო დასკვნით ნაწილს გაეცნენ. აღნიშნულ კომპლექსში განთავსდება საჭიდაო სივრცეები, ფიტნეს დარბაზი და სხვა ინფრასტრუქტურა.

გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს დეპუტატებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გლდანი - ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი და პარასპორტის განვითარების ცენტრი დაათვალიერეს და სამუშაო პროცესს გაეცნენ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, ადგილობრივ თვითმმართველობას დაქვემდებარებულ ყველა სპორტულ და ახალგაზრდულ ცენტრში მიმდინარე სასწავლო პროცესების გაცნობას პერმანენტულად განაგრძობს.

***ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე დელეგაციის ვიზიტი***

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებზე მომუშავე დელეგაციას უმასპინძლა.

ევროპის საბჭოს დელეგაცია საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს მოწვევით ესტუმრა და ვიზიტის მიზანს 2014 წელს მიღებული ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლა წარმოადგენს.

ქართულმა მხარემ დედაქალაქის ყველა პრიორიტეტი დელეგაციას წარუდგინა; მათ შორის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სტუდენტების დაფინანსება, ,,ღამის ეკონომიკის'' პროექტი, ახალგაზრდული ფორუმები. ასევე, მხარეებმა ახალგაზრდების დასაქმების, მათი კარიერული განვითარების, განათლების სისტემისა და სამომავლო თანამშრომლობის შესახებაც ისაუბრეს.

## სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში ჩართულობა

### *განახლებული მზიურის პრეზენტაცია*

2018 წლის 9 ნოემბერს, თბილისის მერმა, კახა კალაძემ  პროექტის „განახლებული მზიური“ პრეზენტაცია წარადგინა, რომლის სახითაც დედაქალაქს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი, მრავალფუნქციური რეკრეაციული ზონა შეემატება. პრეზენტაციას გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან და წევრებთან ერთად დაესწრო.

პარკში სხვადასხვა ტიპის სპორტული, კულტურული და რეკრეაციული სივრცეები განთავსდება, მათ შორის „თოჯინების მუზეუმი''.  სარეაბილიტაციო არეალი 13 ჰექტარს მოიცავს, რომელიც 2019 წელს დაიწყება და 2020 წელს დასრულდება.

### *თბილისში ღამის ეკონომიკის პირველი საერთაშორისო ფორუმი გაიხსნა*

გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს წევრებთან ერთად ღამის ეკონომიკის პირველ საერთაშორისო ფორუმს დაესწრო, რომელიც თბილისის მერმა კახა კალაძემ გახსნა და მას ორი დღის განმავლობაში მსოფლიოს ღამის მერები, ურბანული განვითარებისა და კულტურის მენეჯმენტის ექსპერტები ცხრა ქვეყნიდან ესწრებოდნენ.

ღამის ეკონომიკის პროექტი საინტერესო მიმართულებაა თბილისის ეკონომიკისა და ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად განვითარებისთვის.

### *International Republican Institute (IRI)-ის ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენცია*

International Republican Institute (IRI)-ის ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე ,,ახალგაზრდა ლიდერების თაობა 2018'' რეგიონის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთო.

კონფერენციაზე ისაუბრეს პოლიტიკაში ახალგაზრდობის მნიშვნელობაზე, ასევე, კორუფციის მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე.

10-მდე ქვეყნის დელეგატებს საქართველოს მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე მიაწოდეს ინფორმაცია.

კონფერენცია პოლიტიკური თემატიკის გარდა სხვადასხვა შემეცნებით აქტივობას მოიცავდა.

კოალიცია Generation Democracy 70 ქვეყნის 400-ზე მეტ ახალგაზრდულ ორგანიზაციას აერთიანებს.

### *„სტუდენტური ფესტივალი 2018'' საზეიმო დახურვა*

ფესტივალი თბილისის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა, რაც მასშტაბურ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს მოიცავდა. ღონისძიებებში დედაქალაქში არსებული 23 სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების 30 000-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა.

ფესტივალს წელს კულტურული მიმართულებაც დაემატა. გაიმართა მასშტაბური შეჯიბრებები სპორტის ექვს სახეობაში: მინი ფეხბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, ქუჩის კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ბოულინგში.

სტუდენტებს სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ქ. თბილისის მერმა, კახა კალაძემ მიმართეს.

### *მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორ სპორტსმენებს ფულადი ჯილდოები გადაეცათ*

ქ. თბილისის მერიის ინიციატივით და საკრებულოს მხარდაჭერით პრიზიორ სპორტსმენებს ფულადი ჯილდოები გადაეცათ და იმისთვის, რომ მათ საკუთარი ქალაქი და ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოაჩინეს.

საქართველოს ჰიმნი 2018 წელს 300-ზე მეტჯერ გაჟღერდა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირსა თუ ჩემპიონატზე.

აღნიშნული ინიციატივა საკრებულომ თბილისის მერიის წარდგინებით 2018 წლის მე-4 კვარტალში დაამტკიცა, რომელიც ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობების სპორტსმენებისთვის პრემიის გადაცემას გულისხმობს.

პრემიის გაცემა მათი წარმატების გათვალისწინებით ხორციელდება და მისი მიზანია სპორტსმენებში მოტივაციის ამაღლება, რათა მომავალში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე წარმატებით იასპარეზონ.

***JAKO FM-ის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური ღონისძიება***

არაოლიმპიურ სახეობებში საუკეთესო სპორტსმენების ათეული გამოვლინდა. სპორტული რადიო Jako.FM-ის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ღონისძიებაზე ტრადიციულად დაჯილდოვდნენ 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენები არაოლიმპიურ სახეობებში.

ღონისძიება რადიო Jako.FM-ის 13 წლის იუბილეზე გაიმართა. რადიოს დამფუძნებელმა ჯამლეტ ხუხაშვილმა, გენერალურმა დირექტორმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ და კომისიის თავმჯდომარემ საუკეთესო ათეული მედლებით, სერტიფიკატებითა და საჩუქრებით დააჯილდოეს.

არაოლიმპიურ სახეობებში სულ 10 საუკეთესო სპორტსმენი დაჯილდოვდა.

***რეფორმა განათლების სისტემაში***

გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან და წევრებთან ერთად განათლების რეფორმის პრეზენტაციას დაესწრო. ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გახსნა, დეტალურ სამოქმედო გეგმაზე კი მინისტრმა ისაუბრა.

რეფორმა განათლების ხუთივე საფეხურს მოიცავს: სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი და მეცნიერება.

***ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა პრეზენტაცია***

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ საერთაშორისო პროგრამის პრეზენტაციაში სახელწოდებით -,,ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა'', მონაწილეობა მიიღო.

თბილისის მერიის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების მიერ მოპოვებული 147.520,56 ევროს გრანტის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდება.

პროექტი, 2019 წლის მარტში დაიწყება და 2020 წლის ივლისში დასრულდება.

***,,სტუდენტური დღეები 2019''-ის პრეზენტაცია***

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროექტის "სტუდენტური დღეები 2019" პრეზენტაციას კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და საკრებულოს წევრი ლევან ჯაფარიძე დაესწრნენ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, აუდიტორიას სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტები გააცნო.

„სტუ-ს სტუდენტური დღეები 2019"-ის ფარგლებში 100-ზე მეტი ღონისძიება სპორტული, კულტურული, ინტელექტუალური და საგანმანათლებლო მიმართულებით ჩატარდა.

*მსოფლიოს მიუსაფარ ცხოველთა დღის აღსანიშნავი ღონისძიება*

გიორგი ჩაკვეტაძე, გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ერეკლე კუხიანიძე და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია მუნიციპალურ თავშესაფარში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ მსოფლიოს მიუსაფარ ცხოველთა დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას დაესწრნენ.

დეპუტატები არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ და ღონისძიებაზე დამსწრე ბავშვებს სოციალური პასუხისმგებლობის წახალისების მიზნით, ცხოველების პატარა მოყვარულებს სერტიფიკატები გადასცეს.

*ხონის აკადემიის მსმენელებთან შეხვედრა*

ხონის აკადემიის მსმენელებთან შეხვედრა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანიზებით ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში გაიმართა. შეხვედრაზე კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე და დედაქალაქში მიმდინარე და დაგეგმილ ახალგაზრდულ ღონისძიებებზე ისაუბრა. შეხვედრას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის აპარატის თანამშრომლები, ასევე, ხონის მუნიციპალიტეტის მერი და ,,ათეა''-ს წარმომადგენლები დაესწრნენ. აკადემია ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანა ბახტაძის ინიციატივით დაფუძნდა.

*„სტუდენტური ფესტივალი 2019" გახსნა*

ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე „სტუდენტური ფესტივალი 2019" გაიხსნა. გახსნის ცერემონიას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, განათლებისა და კულტურის კომისიების თავმჯდომარეები გიორგი ჩაკვეტაძე და თამარ ტალიაშვილი, ასევე საკრებულოს საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ცინცაძე ესწრებოდნენ.

ღონისძიება, რომელიც საქართველოს პრემიერ მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და თბილისის მერმა კახა კალაძემ გახსნეს, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის" ორგანიზებით იმართება.

ფესტივალში საქართველოს მასშტაბით მოქმედი, სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების, 50 000-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა.

*ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმი*

თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ორგანიზებით, მე-11 ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმი, სახელწოდებით „ძლიერი ეკონომიკა - ძლიერი ქალაქი'' ჩატარდა.

ფორუმში დარგის მაღალკვალიფიციურ ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტებთან, სპიკერებთან, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, თბილისის მერიისა და საკრებულოს დეპუტატებთან ერთად გიორგი ჩაკვეტაძეც მონაწილეობდა.

### *ახალგაზრდული პროექტების პრეზენტაცია*

კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარესთან, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარესთან და საკრებულოს წევრებთან ერთად თბილისის მერიის მიერ გამართულ  პრეზენტაციას ,,თბილისი-ახალგაზრდების ქალაქი" დაესწრო.  ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები საზოგადოებას დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ, მერის მოადგილე სოფიო ხუნწარიამ და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ წარუდგინეს.

ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა, მათი თვითრეალიზაციის ხელშეწყობა, ქალაქის განვითარებაში ჩართულობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამონაწილეობის უზრუნველყოფა, ახალგაზრდების გართობისა და დასვენებისთვის საჭირო პირობების შექმნა.

### *„სტუდენტური ფესტივალი 2019"-ში გამარჯვებული უნივერსიტეტების დაჯილდოება*

გიორგი ჩაკვეტაძემ სტუდენტური ფესტივალის დასასრულს სპორტულ ტურნირებში გამარჯვებული უნივერსიტეტები დააჯილდოვა და სტუდენტებს მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა.

სტუდენტური ფესტივალი 2019, რომელშიც საქართველოს საუნივერსიტეტო ქალაქებში მოქმედმა 36 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 50 000-მდე ქართველმა და უცხოელმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა წარმატებით დასრულდა. გამარჯვებული უნივერსიტეტის ტიტულის მფლობელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გახდა, რომელიც ქალაქის მერმა კახი კალაძემ დააჯილდოვა.

10 დღის განმავლობაში, ფესტივალის ფარგლებში ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე მოწყობილ სტუდენტურ ქალაქში 20-მდე მასობრივი ღონისძიება ჩატარდა; ფესტივალი მოიცავდა საკონკურსო და არასაკონკურსო აქტივობებსაც.

### *სტუდენტური კონფერენცია*

კომისიის თავმჯდომარე  გიორგი ჩაკვეტაძე,  საკრებულოს წევრ ავთანდილ ცინცაძესთან ერთად,  სტუდენტურ კონფერენციას დაესწრო.

პროფკავშირების კულტურის ცენტრში გამართულ ღონისძიებაზე გიორგი ჩაკვეტაძე კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა. კომისიის თავმჯდომარემ ახალგაზრდებს, პროექტში წარმატებული მონაწილეობა მიულოცა და დედაქალაქის მთავრობის მიერ ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე ესაუბრა.

### *თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე*

საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი დოხტურიშვილის ინიციატივითა და საქართველოს მფრინავი დისკის ფედერაციის თანადგომით, ვარკეთილის მესამე მასივში, თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე ღონისძიებით ,,სახალისო თამაშები - ფრისბი ყველასათვის'' აღინიშნა.

ღონისძიებაში კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძემ მიიღო მონაწილეობა.

სამგორის რაიონში 7 საჯარო და 3 კერძო სკოლა ერთმანეთს სხვადასხვა სპორტულ აქტივობასა და მფრინავი დისკის თამაშში შეეჯიბრნენ.

ღონისძიება ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.

### *,,მადრიდის რეალის" საზაფხულო კემპის გახსნა*

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე , ,,მადრიდის რეალის" საზაფხულო კემპის გახსნის ცერემონიას დაესწრო და შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა. საზაფხულო სკოლაში 100-ზე მეტ ბავშვს ჰქონდა შესაძლებლობა, „რეალის" აკადემიის ორი ესპანელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, ევარჯიშა. ქართველი მოზარდები მადრიდელთა სათამაშო ფილოსოფიასა და საწვრთნელ მეთოდიკას გაეცნენ.

ესპანური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის საზაფხულო სკოლას თბილისის ზღვასთან მდებარე საფეხბურთო კლუბის „ზესტაფონი" ბაზა მასპინძლობდა.

### *სალაშქრო ტურები თბილისის გარშემო*

თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ორგანიზებით, საზაფხულო ლაშქრობები განხორციელდა. მეორე სალაშქრო ტური ნაფეტვრები-ნახშირგორა-ნათლისმცემლის მთა წოდორეთის 15-კილომეტრიან მარშრუტს მოიცავდა.

სალაშქრო ტურში 40 ახალგაზრდასთან ერთად, კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო

სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა და საქალაქო სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

ტურის ფარგლებში, თბილისის გარშემო შესწავლილი სალაშქრო მარშრუტები და უსაფრთხო ლაშქრობების მოწყობის საკითხები  განიხილეს. პროექტი გასართობ-შემეცნებით ნაწილსაც მოიცავდა და მასში 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.

***არჩილ ჩოხელის სახელობის საერთაშორისო მემორიალური ტურნირის გახსნა***

ტურნირის გახსნის ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი ავთანდილ ცინცაძე და კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე  ესწრებოდნენ.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, არჩილ ჩოხელის სახელობის ტურნირში  მონაწილეობას საქართველოს, აზერბაიჯანის, ბელარუსის, გერმანიის, ისრაელის, რუსეთის, საბერძნეთის, სომხეთისა და ყაზახეთის წარმომადგენლები იღებდნენ.

საერთაშორისო ტურნირი 2014 წლიდან ტარდება, 2016 წლიდან კი სამბოს საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშია შეტანილი.

***წყნეთში  სპორტული ცენტრის გახსნა***

გიორგი ჩაკვეტაძემ, კომისიის წევრებთან და დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან ერთად, წყნეთში, ახლად აშენებული სპორტული ცენტრი დაათვალიერა.

ამილახვარის ქუჩის N21-ში, 700-მდე კვ. მ ფართობზე განთავსებულ სპორტულ ცენტრში სავარჯიშო დარბაზი, ტრიბუნა, სატრენაჟორო დარბაზი, გასახდელები, სველი წერტილები და ადმინისტრაციული ოთახები ფუნქციონირებს. აქვე განთავსდება კარატეს, ძიუდოს, ტანვარჯიშის, აკრობატიკის სექციები და ფიტნეს დარბაზი.

ობიექტი სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. წყნეთის სპორტულ ცენტრში, ისევე როგორც ყველა მუნიციპალურ სპორტულ ცენტრში მოქმედებს შეღავათიანი ტარიფები.

## ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საკურატორო სფეროში შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. კომისია

სამსახურთან თანამშრომლობით და კოორდინაციით ხელს უწყობს დედაქალაქში სპორტისა და ახალგაზრდული სფეროს განვითარებას.

**დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტში, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით გათვალისწინებული იყო 17 270 816 ლარი.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ბიუჯეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მოიცავს შემდეგ პროგრამებს:

## სპორტული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის **37** სპორტული ფედერაცია და საქართველოს **31** სპორტული ფედერაცია.

სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–სამწვრთნელო შეკრებები, ქ. თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირში. სულ დაფინანსდა 199 პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 39 000 - ზე მეტმა ბენეფიციარმა. პროგრამა სპორტული ღონისძიებების ფარგლებში, **პირველად მოხდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი სპორტსმენების წახალისება;**

***მწვრთნელთა მხარდაჭერა*** - საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის **349** მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის **49** სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს (წახალისება ხორციელდება ყოველთვიურად);

***წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება*** - სპორტის 34 სახეობაში ფინანსდება 18 წლამდე ასაკის 238 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (წახალისება ხორციელდება ყოველთვიურად);

***სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა***

***ვარკეთილსა და დიდ დიღომში - მულტიფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსების მშენებლობა;***

დასრულდა 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის ვარკეთილის სამშენებლო სამუშაოების ტენდერი და უახლოეს მომავალში დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.

მიმდინარეობს დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის ტენდერის გამოცხადების მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება.

აღნიშნულ ცენტრებში განთავსებული იქნება სპორტული და კულტურული სივრცეები.

*საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:*

- მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზა;
- ქ თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო დოკუმენტაცია;
- წყნეთში სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები;
- წყნეთში სპორტული დარბაზის მიერთება ელექტრო ქსელზე;
- წყნეთში სპორტული დარბაზის სპორტული ინვენტარით აღჭურვა;
- ისნის რაიონში მდებარე ჩოგბურთის კორტების სპორტული ბაზის აღჭურვა-რეაბილიტაცია;
- ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტულ ცენტრის“ სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები.

*მუნიციპალური ა(ა)იპ-ები*

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია 9 სპორტული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო ახალგაზრდული მიმართულებით: ,,ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება", ,,ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრი" და ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები".

საანგარიშო პერიოდში სპორტული ა(ა)იპ-ები სპორტის 35-მდე სახეობაში 10 000-მდე ბენეფიციარს მოემსახურნენ.

*აღსანიშნავია პარასპორტის განვითარების ცენტრი, რომელიც ამიერკავკასიაში ერთადერთია.*

საანგარიშო პერიოდში ცენტრში ინტენსიურად მიმდინარეობდა საწვრთნელ–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში, საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 201 პარასპორტსმენი და 16 მწვრთნელი. ცენტრში ვითარდება 14 პარასპორტული სახეობა. თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის ბალანსზე ამ ეტაპზე 9 მიკროავტობუსია (8 ადაპტირებული), აქედან სამი სატრანსპორტო საშულება ემსახურება პარასპორტსმენების ტრანსპორტირებას, ხოლო 6 მიკროავტობუსი უზრუნველყოფს სსსმ და შშმ მოსწავლეების სკოლაში წაყვანა-მოყვანას. იმისათავის, რომ დედაქალაქის მასშტაბით მოხდეს ინკლუზიურ განათლების პროგრამაში ჩართული ყველა სკოლის მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, იგეგმება დამატებით 4 ადაპტირებული მიკროავტობუსის შეძენა.

## ახალგაზრდული ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებები, თემატური ფესტივალები (გრაფიტი, ქუჩის მუსიკა, მოხალისეობა, ტექნოლოგიები, მეწარმეობა), გასართობი, შემეცნებითი და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები, ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები, საჯომარდო ტურები. მოეწყო ჰაკათონები და განხორციელდა ახალგაზრდების ინოვაციური იდეების თანადაფინანსება კონკურსების მეშვეობით, მათ შორის აღსანიშნავია:

- კოჯორში ახალგაზრდული სოფლის მშენებლობის მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით ტენდერის გამოცხადება. ახალგაზრდული სოფლის მშენებლობა 2020 წელს დაიწყება და 2021 წელს დასრულდება;
- ა(ა)იპ "საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის" პროექტი „სტუდენტური ფესტივალი", რომლის მიზანი იყო სტუდენტებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სტუდენტური ცხოვრების განვითარება;
- ა(ა)იპ „საქართველოს კიბერ სპორტის ფედერაციის" პროექტი „თბილისის თასი 2019", რომლის მიზანი იყო კიბერ სპორტის განვითარება და ახალგაზრდა ქართველი კიბერ მოთამაშეების საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა;
- ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინიციატივების სამოქალაქო ცენტრის" პროექტი „საჯომარდო ბანაკი", რომლის მიზანი იყო ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში და მასობრივ ღონისძიებებში ჩართულობის ხელშეწყობა;
- პროექტი „თბილისის გარშემო". პროექტის მიზანია ახალგაზრდებისთვის თბილისის სალაშქრო პოტენციალის გაცნობა და თბილისის შემოგარენში არსებული სალაშქრო მარშრუტების პოპულარიზაცია; პროექტში ჩართული იყო 250 ახალგაზრდა;
- ა(ა)იპ „საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის" პროექტი „თბილისის ჩემპიონატი: „ფეინთბოლი - ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად'', რომლის მიზანი იყო 250-მდე ახალგაზრდის ჩართულობა ექსტრემალურ სპორტში

***„თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი"***

ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მოსწავლეთა აღზრდისა და დამატებითი განათლების მრავალფუნქციური დაწესებულებაა. იგი ახორციელებს სოციალურ, კულტურულ–საგანმანათლებლო პროგრამებს. მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი აერთიანებს 9 ფილიალს. 35 დასახელების წრესა და სტუდიაში ირიცხება 3800-მდე მოსწავლე, რომელთაგან თბილისის მერიის პროგრამის ,,სოციალურად დაუცველი და სხვა კატეგორიის მოსახლეობის სერვისების (დახმარების)'' ფარგლებში ჩაბმულია 1740 ბენეფიციარი, მერიის დაფინანსებული პროექტის ,,თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება(წახალისება)''- ფარგლებში საგნობრივი მიმართულების

წრეებში გაერთიანებულია 130 მოსწავლე, გაწეული მომსახურების (სერვისის) გადამხდელია 1900 – მდე მოზარდი. მოსწავლეთა სახლის სასწავლო–აღმზრდელობითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საგნობრივი წრეები;
- სახელოვნებო წრეები და სტუდიები;
- სპორტული წრეები;
- სახელობო წრეები.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამგორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია, რომელიც აგვისტოში დაიწყო და შშმ პირებისთვის შენობის ადაპტირებას, სახურავის შეკეთებას, საკვანძის რენოვაციას, ელექტროგაყვანილობის სრულ შეცვლას, კალათბურთისა და სააქტო დარბაზების სრულ რეაბილიტაციას, ასევე სახანძრო უსაფრთხოების მიზნით ჩასატარებელ სამუშაოებს გულისხმობს.

სამუშაოების დასრულება 2019 წლის ნოემბრის ბოლოსთვისაა გათვალისწინებული.

### *„თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“*

„თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების'' მიზანი ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეწყობა და საჭირო სერვისების უზრუნველყოფაა.

საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ'' არსებული პროგრამული მიმართულებების ფარგლებში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ“ ევროკავშირის პროგრამის „Erasmus +“ ფარგლებში მოპოვებული გრანტით, ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობის პროექტი დაიწყო.

  პროექტის ფარგლებში, 147 520 ევრო მოხმარდება შემდეგ მიმართულებებს:

  თბილისში ახალგაზრდული სერვისების და საჭიროებების შესახებ კვლევას;

1. თბილისის ახალგაზრდული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის და მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა;
2. ახალგაზრდული ცენტრების თანამშრომლების წამყვან ევროპულ ცენტრებში გადამზადება;
3. ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების განხორციელება;

4. ახალგაზრდებისთვის ევროკავშირის ექსპერტების სამუშაო-საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგებისა და მასტერკლასების ორგანიზება;
5. თანამშრომლობის ქსელის ჩამოყალიბება პოლონეთის, შვედეთის, ესტონეთის და უკრაინის მუნიციპალურ ახალგაზრდულ ცენტრებთან.

საგრანტო პროექტის განხორციელება 2019 წლის მარტში დაიწყო და 2020 წლის ივლისში დასრულდება.

- პროექტი „Be lingual“ მიზანია, დაეხმაროს თბილისში მცხოვრებ 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდებს, ინგლისური ენის სასაუბრო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში, ასევე უცხოელ ახალგაზრდებთან ახლო კავშირების დამყარებაში.

  პროექტი „Be lingual'' ხორციელდება „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების'' ორგანიზებით და დაფინანსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ. პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა მიიღო 250 ახალგაზრდამ;

- „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ“, ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონთან'' ერთად, ევროკავშირის საგრანტო პროგრამის (UPGRADE) ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანს ახალგაზრდებში გუნდურობის, ლიდერობის და კომუნიკაციის მიმართულებით ცოდნის გაღრმავება წარმოადგენდა. შეხვედრის თემები შეირჩა ბენეფიციარების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად და ვორკშოფის დასასრულს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

## რაიონული გამგეობები

კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებისთვის რაიონებში, (მთაწმინდა, კრწანისი, ვაკე, საბურთალო, დიდუბე, ჩუღურეთი, ნაძალადევი, გლდანი, ისანი, სამგორი) დედაქალაქის ბიუჯეტში განსაზღვრულია 1 000,0 ათასი ლარი. ასევე, 7000,0 ათას ლარამდე თანხებია გამოყოფილი რაიონებში სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

გამგეობების შესაბამისი განყოფილებების მიერ ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა სპორტული, ახალგაზრდული ღონისძიებები და წესრიგდება სპორტული ინფრასტრუქტურა თავიანთი რაიონების მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში:

- მოეწყო 70-მდე ახალი, მათ შორის 2 ულტრა თანამედროვე ფიტნეს სივრცე; მიმდინარეობს 10-მდე ახლის მშენებლობა;
- მოეწყო 17 ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 44 მინი (უბნის) სტადიონს; მიმდინარეობს 10-მდე ახლის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- ყველა რაიონში მოეწყო ახალი გარე გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორები;
- პერიოდულად იმართება ტურნირები და ჩემპიონატები სხვადასხვა სახეობაში.

კომისია რეგულარულად ახორციელებს გამგეობების მიერ, ღონისძიებებისთვის გამოცხადებული სატენდერო წინადადებების მონიტორინგს.

### *ქ. თბილისის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია*

საანგარიშო პერიოდში კომისიას ჩატარებული აქვს 29 სხდომა განხილულია 415 პროექტი.

**აქედან საანგარიშო პერიოდში სპორტის პროგრამების განყოფილებაში** განსახილველად შემოვიდა 236 პროექტი, მოთხოვნილმა თანხამ ჯამში შეადგინა: 2 882 935,43 (ორი მილიონ რვაას ოთხმოცდაორი ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცდასამი თეთრი) ლარი.

199 საკითხი გადაწყდა დადებითად, 22 პროექტს უარი ეთქვა დაფინანსებაზე, ხოლო 15 პროექტს გაეწია შუამდგომლობა მთავრობასთან.

მოთხოვნილმა და გადარიცხული თანხის რაოდენობამ ჯამში შეადგინა: 749 619,23 (შვიდას ორმოცდაცხრა ათას ექვსას ცხრამეტი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარი.

**განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებაში** სულ განსახილველად შემოვიდა 70 პროექტი, მოთხოვნილი თანხის ჯამმა შეადგინა: 1 076 834,30 (ერთი მილიონ სამოცდათექვსმეტი ათას რვაას ოცდათოთხმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარი.

დადებითად გადაწყდა 47 პროექტი, დაფინანსებაზე უარი ეთქვა 17 პროექტს.

კომისიის რეკომენდაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობაზე წარდგენილ იქნა 6 პროექტი, რომელთა განხორციელების მიზნით ჯამში გამოიყო 362 282,15 (სამას სამოცდაორი ათას ორას ოთხმოცდაორი ლარი და თხუთმეტი თეთრი) ლარი.

გიორგი ჩაკვეტაძე (2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით) დაესწრო 25 სხდომას და მონაწილეობა მიიღო 370 პროექტის განხილვაში.

## მივლინებები/ ოფიციალური ვიზიტები

საანგარიშო პერიოდში კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე ოფიციალური ვიზიტით ავსტრიაში იმყოფებოდა, სადაც პროგრესული ალიანსის პროექტში - „პროგრესული ალიანსის აქტივისტთა აკადემია“ მონაწილეობას იღებდა.

კონფერენციის თემები თანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიები, საუკეთესი პრაქტიკის გაცვლა და რეგიონის გამოწვევები იყო.

სამი დღის განმავლობაში კომისიის თავმჯდომარე დაესწრო მაღალი რანგის სხვადასხვა ვორქშოფსა და შეხვედრას. შეხვედრები რენერის ინსტიტუტში (RI), ევროპარლამენტართან და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან ანდრეას შიდერთან და ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო გაერთიანების (IUSY) გენერალურ მდივანთან, ანა ფირცხალავასთან გაიმართა.

პროექტის მონაწილეებმა ახალგაზრდების ჩართულობაზე, სოციალური მედიის აქტიურ გამოყენებაზე, შრომისა და განათლების უფლებებზე სამოქმედო გეგმა მიიღეს. გიორგი ჩაკვეტაძემ მომავალი თანამშრომლობის მიზნით მონაწილეები თბილისში მოიწვია.

აღსანიშნავია, რომ პროგრესული ალიანსი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სოციალურ-დემოკრატიული გაერთიანებაა, რომელიც 140-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს.

## განხილული კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში შემოვიდა 338 მასალა/კორესპონდენცია. მათ შორის არის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი 262 მასალა; კომისიაში შემოსული 66 წერილი და საკრებულოს სხვადსხვა კომისიიდან თუ განყოფილებიდან მიღებული 10 წერილი.

რაც შეეხება გასულ კორესპონდენციას ჯამში შეადგენს 120-ს. მათ შორის კომისიის მიერ მომზადებული და გარე უწყებებში გაგზავნილი წერილების რაოდენობა შეადგენს 76-ს, ხოლო საკრებულოს შიდა უწყებებისთვის გაგზავნილი წერილების რაოდენობა 44-ს.

## მოქალაქეთა მიღება

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნო ორგანიზებას უწევს კომისიის თავმჯდომარესთან მოქალაქეთა მიღებას, რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება. საანგარიშო პერიოდში შეხვედრა შედგა 160-მდე მოქალაქესთან, რომლებსაც შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია გაეწიათ. ასევე, განხორციელდა სატელეფონო კონსულტაცია და დაინტერესებულ მოქალაქეებს განმარტებები მიეცათ.

## დამატებითი ინფორმაცია

***კომისიის სამდივნო***

კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების, წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

***სტაჟიორების მიღება***

კომისიის, საანგარიშო პერიოდში, ჰყავდა სამი სტაჟიორი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ შემოსული განცხადება/წერილების განხილვასა და კომისიის სხდომების მომზადებაში. ესწრებოდნენ კომისიისა და საკრებულოს სხდომებს. სტაჟიორებს გადაეცათ ორენოვანი სერტიფიკატები.

## საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება კომისიისაა და გიორგი ჩაკვეტაძის "Facebook" გვერდებზე და მის მართვას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო. გარდა ამისა, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას, მათ შორის უზრუნველყოფს აქტივობების ქ. თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს გვერდზე განთავსებას.

***გადაცემებში მონაწილეობა***

გიორგი ჩაკვეტაძე საანგარიშო პერიოდში მონაწილეობას იღებდა სხვდასხვა სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებში აქტუალურ თემებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- გადაცემა „ხალხის პოლიტიკა’’ - თემა: 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენები, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური;
- გადაცემა ,,საღამოს სტუდია'' - თემა: დედაქალაქში მიმდინარე პროექტები, განხორციელებული რეფორმები და არჩევნების მეორე ტური;
- გადაცემა ,,ბარიერი'' - თემა: თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური;
- გადაცემა „სოციალური თემატიკა“ - თემა: თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- გადაცემა საზოგადოების რეაქცია - თემა: არჩევნების შემდეგ არსებული პოლიტიკური ვითარება;
- რადიო შოკოლადი - თემა: სპორტი, ახალგაზრდული საკითხები, ინფრასტრუქტურული პროექტები, თბილისის საკრებულოს მთავარი გამოწვევები;
- გადაცემა ,,360 გრადუსი'' - თემა: თბილისის გენერალური გეგმა;
- რადიო პალიტრა - თემა: ქაოტური განაშენიანება და სამშენებლო პირობების არსებითი დარღვევა სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდება;
- გადაცემა „მთავარი ფაქტორი’’ - თემა: ახალგაზრდული პოლიტიკა;
- ტელევიზია ,,ერთსულოვნება" - თემა: სასკოლო ლიგა და მიმდინარე სპორტული პროექტები;
- გადაცემა ,,მთავარი ფაქტორი'' - თემა: ახალგაზრდების ჩართულობა, დაგეგმილი პროექტები.